დირექტორების როლი კორპორაციული

მართვის საუკეთესო სისტემის ჩამოყალიბებაში

ნინო ფეიქრიშვილი
ლელა შეყილაძე
ლაშა ტაბატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წამოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა:ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ღვალაძე, სამართალმცოდნეობის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კორპორაციული მართვა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ძალიან აქტუალური გახდა მენეჯმენტის სფეროში. კორპორაციული მართვის აქტუალობა საქართველოსთვისაც დადგა, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა მსხვლი კომპანიები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მხოლოდ საათივით აწყობილი მენეჯმენტი შეძლებდა გადაეყვანა კომპანია მართვის თანამედროვე რელსებზე და წაეყვანა ის წარმატებისკენ.

ნაშრომში განხილულია კორპორაციების შექმნისა და მართვის პროცესები, კორპორაციის როგორც მართვის სისტემის უპირატესობები. უცხოური კომანიების მაგალითზე განხილულია ძლიერი დირექტორების როლი კორპორაციის წარმატებაში. ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოს ბაზარზე ოთხი ყველაზე მსხვილი კორპორაცია, საბანკო სფეროდან: საქართველოს ბანკი, თი ბი სი ბანკი, რესპუბლიკა ბანკი და პროკრედიტ ბანკი. კვლევის ნაწილში ვისაუბრებთ კომუნიკაციის, როგორც მართვის ერთ-ერთი ძლიერი ხელსაწყოს მნიშვნელობაზე. განვიხილავთ, რამდენად ხდება ინფორმაციის მიწოდება ზემოთ აღნიშნულ 4 ბანკში მომუშავე თანამშრომლებთან, რამდენად ფლობენ ისინი ინფორმაციას კომპანიის მმართველი რგოლის შესახებ, ეცნობიან თუ არა კორპორაციის წლიურ მიღწევებს და ასევე ვიკვლიეთ, რამდენად ხშირია და მარტივია თანამშრომლების ურთიერთობა გენერალურ მენეჯმენტთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კორპორაცია, მართვა, მენეჯმენტი, კომუნიკაცია, დირექტორატი, სისტემა, ლიდერობა.